დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109243592**

თარიღი:**24/12/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, **დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს:

ა) ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 01)” დანართი N1 - ის შესაბამისად;

ბ) ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 02)“ დანართი N2 - ის შესაბამისად;

გ) ,,ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 03)“ დანართი N3 - ის შესაბამისად;

დ) ,,მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 04)“ დანართი N4 - ის შესაბამისად;

ე) ,,მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 05)“ დანართი N5 - ის შესაბამისად;

ვ) ,,18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 06)“ დანართი N6 - ის შესაბამისად;

ზ) ,,მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის სოციალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 07)“ დანართი N7 - ის შესაბამისად;

თ) „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 08)“ დანართი N8 - ის შესაბამისად;

ი) „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ (პროგრამული კოდი - 06 02 01 09)“ დანართი N9-ის შესაბამისად;

კ) ,,ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი - 06 02 01 10)“ დანართი N10 -ის შესაბამისად.

ლ) ,,მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 11)“ დანართი N11 - ის შესაბამისად;

მ) ,,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)“ დანართი N12- ის შესაბამისად;

ნ) ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 01)“ დანართი N13 - ის შესაბამისად;

ო) ,,აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 02)“ დანართი N14 - ის შესაბამისად.

პ) ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 03)“ დანართი N15 - ის შესაბამისად;

ჟ) 0 - დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 03 04) დანართი N16 - ის შესაბამისად;

რ) ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)“ დანართი N17 - ის შესაბამისად.

ს) ,,ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)“ დანართი N18 - ის შესაბამისად;

ტ) ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით (პროგრამული კოდი 06 02 09)“ დანართი 19 - ის შესაბამისად;

უ) ,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 10) დანართი N20 - ის შესაბამისად;

ფ) ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი - 03 01 01 04) “ დანართი N21 - ის შესაბამისად;

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული ქვეპორგრამების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, გარდა დმანისის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსებით განსახორციელებელი ქვეპროგრამებისა.

3. 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ სოციალური პროგრამებისათვის გათვალისწინებული ერთიანი თანხის ფარგლებში თანხის პროგრამებს შორის გადანაწილება განხორციელდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაბამისი სამსახურიდან (მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური) მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

4. განკარგულება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 01)

მუხლი 1. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია:

ა) სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით და სხვა ქრონიკული დაავადების მქონე პირების დახმარება;

ბ) ბენეფიცართა იმ კატეგორიის ფინანსური დახმარება, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში, მაგრამ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ წარმომადგენლის ინფორმაციაზე დაყრდნობით ოჯახი განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას.

მუხლი 2. ამოცანა

1. ქვეპროგრამის ამოცანაა სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული დაავადების მქონე პირების და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული, აქტუალური დაავადების მქონე პირები;
2. პირები, რომელთა სოციალური მდგომარეობის გადამოწმება ხდება მერის წარმომადგენლებისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
3. ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსება

1. მოსარგებლე ქვეპროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც ერთჯერადად არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიცარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. დიაგნოზის არსებობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N 100;
4. პირადი საბანკო რეკვიზიტები;

მუხლი 6. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგები

გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური მდომარეობა.

დანართი N2

დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 02)

მუხლი 1. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია დიალიზის საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება.

მუხლი 2. ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა დიალიზის საჭიროების მქონე პირებისათვის საჭირო რესურსებზე და სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის საჭიროების მქონე პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანასური დახმარების სახით ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსება

1. ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება დიალიზის საჭიროების მქონე პირებისათვის თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიცარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100, სადაც მითითებულია რომ პირი საჭიროებს დიალიზით მკურნალობას;
4. პირადი საბანკო რეკვიზიტები;

მუხლი 5. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგები

გაუმჯობესებულია და შენარჩუნებულია დიალიზის საჭიროების მქონე პირების სოციალური და ჯანმთელობის მდომარეობა.

დანართი N3

ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 03)

მუხლი 1. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანები

ქვეპროგრამის ამოცანაა ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებული პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსება

ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, წლის განმავლობაში ერთ მოსარგებლეზე არა უმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. ანგარიშ - ფაქტურა შესაბამისი კვების პროდუქტების მიმწოდებელი ორგანიზაციიდან და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
5. პირადი საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

გაუმჯობესებლია ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკიით) დაავადებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა, უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი საკვები პროდუქტებით.

დანართი N4

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 04)

მუხლი 1. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების ფინანსური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები.
2. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას ყოველთვიურად იღებს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსება

1. ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით, თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიციარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის დამადატურებელი დოკუმენტი;
4. პირადი საბანკო რეკვიზიტები;

მუხლი 6. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგები

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი N5

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 05)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ქვეპროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა (რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) და პატრონის გარეშე დარჩენილი მიცვალებულების, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ერთეულს) დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობას.

მუხლი 2. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა (რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) და სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ერთეულს) დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალოხარჯების ანაზღურების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა (რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) და სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ერთეულს);
2. ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს გარდაცვლილის ოჯახს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 4. კრიტერიუმი და დაფინანსება

1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა (რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) და სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ერთეულს) ფინანსურ მხარდაჭერას;
2. სარიტუალო მომსახურების პროგრამის დაფინანსება არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი ლარი) ლარს.
3. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი;
4. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;
5. მარტოხელა პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ, ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისაგან, პოლიციიდან ან სხვა დაწესებულებიდან.
6. განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

მუხლი 6. მომსახურების გაწევის ვადა

1. ფინანსური მომსახურების გაწევა განხორციელდეს ბენეფიციარის გარდაცვალებიდან 1 (ერთი) თვის მანძილზე.

დანართი N6

18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 06)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება (რეპროდუქციულ ჯანმრთელობის პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობა, ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარება, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და ეკონომიკური გაძლიერება).

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

1. ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამის მოსარგებლე პირებისათვის ფინანსური მხარდაჭერა ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარებისათვის, ცნობიერების ამაღლება, მოქმედ ადგილობრივ და სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდა და სოფლად მცხოვრებ შშმპ ქალებთან და ოჯახებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ჩართულობით მათი საზოგადოებაში გააქტიურებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის).
2. საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა შშმპ ქალებთან და მათ ოჯახებთან დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ (სამ თვეში ერთხელ).

მუხლი 3. ქვეპროგრამით მოსარგებლეები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები:
2. დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, ლეიკემიით, მხედველობით, ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებულ, მეტყველება შეზღუდულ მდგომარეობაში მყოფი 18 წლამდე ასაკის ბავშვები;
3. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ბავშვები (განურჩევლად დიაგნოზისა);
4. 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები;

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.
3. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შეიმუშავებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
4. განცხადებები მიიღება 2025 წლის 1 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით და 15 სექტემბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 5. ქვეპროგრამის დაფინანსება

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფინანსური დახმარების სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს 100- 100 ლარს

(სულ 200 ლარი) წელიწადში ორჯერ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და 25 დეკემბერს (წინასაახალწლოდ);

2. 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური დახმარების სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს 100 – 100 ლარს (სულ 200) წელიწადში ორჯერ 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღეს და 15 ოქტომბერს სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღეს.

3. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;
3. იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
4. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები);
5. პირადი საბანკო რეკვიზიტები, 18 წლამდე ასაკის პირების შემთხვევაში ერთ - ერთი მშობლის საბანკო რეკვიზიტი;
6. შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა;

ბ) ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია;

დ) დამოუკიდებლი ცხოვრების უნარების განვითარება;

ე) სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

დანართი N7

მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 07)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული **მარჩენალდაკარგული** ან **დედ-მამით** ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა;

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილების აქტივობით **მარჩენალდაკარგული** ან **დედ-მამით** ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასაკისათვის შესაფერისი თამაშობებისა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და წახალისება;

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ან დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.
3. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება შეიმუშავებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
4. ფინანსური დახმარების სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს 100-100 (ას-ასი) ლარს წელიწადში ორჯერ 1 ივნისს და 25 დეკემბერს (სულ 200 ლარი);
5. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;
6. განცხადებები მიიღება 2025 წლის 1 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით და 2 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;
3. მეურვის/მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
4. მეურეობის/მზრუნველობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
6. მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები);
8. ბენეფიციარის წარმომადგენლის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები

ქვეპროგრამა მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ხელს უწყობს მათ სოციალურ გარემოში ადაფტაციას და ინტეგრაციას.

დანართი N8

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 08)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამის მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამებით მოსარგებლე 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე ბავშვიანი ოჯახები.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.
3. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი ამზადებს დასკვნას.
4. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება შეიმუშავებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
5. ფინანსური დახმარების სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარს.
6. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;
3. მეურვის/მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
4. იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
5. სამედიცინო დოკუმენტი - ფორმა N IV-100 /ა;
6. შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
8. საცხოვრებელი ფართის გამქირავებლის საბანკო ამონაწერი, ხელშეკრულება, მიღება -ჩაბარების აქტი;
9. ცნობა სარეაბილიტაციო ცენტრიდან ჩატარებული მომსახურების შესახებ (ყოველთვიურად);

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

დანართი N9

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი - 06 02 01 09)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება (საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა).

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა, საფრთხის მაღალი რისკის თავიდან აცილების მიზნით პროგრამით მოსარგებლე ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში ჩართვა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი წევრ(ებ)ი.
2. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახები.
3. სოციალური მუშაკის დასკვნით განსაზღვრული მშობელი, რომელიც მარტო ზრდის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს.
4. სოციალური მუშაკის მიერ შეფასებული ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ ბინის ქირით უზრუნველყოფას.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდგომში - განყოფილება) დასკვნის და მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.
3. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განყოფილება შეიმუშავებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
4. ფინანსური დახმარების სახით (ქირით უზრუნველყოფა) განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.
5. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;
6. ოჯახების მონიტორინგს თვეში ერთხელ განახორციელებს განყოფილების სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი, ინსპექტორი.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტები:

1. დაზარალებული პირის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
3. იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
4. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;
5. გამქირავებლის საბანკო ამონაწერი,ხელშეკრულება, მიღება -ჩაბარების აქტი,
6. ცნობა სამართლადამცავი ორგანოებიდან.

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0 -18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიური სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი - 06 02 01 10)

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ,,ბავშვის უფლებათა კოდექსით" გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერის განხორციელება, ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების უწყვეტი და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი;

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 0-დან 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირები, რომელთაც ესაჭიროებათ შემდეგი სახის მკურნალობა:

ა) ფიზიკური რეაბილიტაციის კურსი;
ბ) მეტყველების თერაპია;
გ) ოკუპაციური თერაპია;
დ) ქცევითი თერაპია;

მუხლი 4. ქვეპროგრამის კრიტერიუმი და დაფინანსება

1. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.
3. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება შეიმუშავებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
4. ფინანსური დახმარების სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად 200 (ორას) ლარს ;
5. ანგარიშწორება განხორციელდება მერის შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძანება), თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. განცხადება;
2. განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;
3. მეურვის/მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
4. მეურვეობის/მზრუნველობის ან კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N100).
6. ცნობა სარეაბილიტაციო ცენტრიდან ჩატარებული მომსახურების შესახებ;
7. მეურვეობის/მზრუნველობის ან კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტი.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა, ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა.

მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 11)

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია, დახმარება გაეწიოთ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიან ოჯახებს (4 და მეტი შვილი) საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 2. ამოცანა

1. პროგრამის ამოცანაა ,,ბავშვის უფლებათა კოდექსით''განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათ დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთ-ერთი შემდეგი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები:

ა) ოჯახები რომელთც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;
ბ) ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი;
გ) ოჯახი, რომელიც ჩართულია რეინტეგრაციის პროგრამაში;
დ) მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახი;

მუხლი 4. ქვეპროგრამის კრიტერიუმი და დაფინანსება

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი წარმოადგენს დასკვნას ოჯახის შესახებ.
2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთებს, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდვა მოხდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ.
3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების შესაძენი თანხა შეადგენს არაუმეტეს 1000 (ათას) ლარს.
4. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. მოქალაქის განცხადება;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;
4. შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

დანართი N12

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 02)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, დახმარება.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა მარტოხელა 60 წელს გადაცილებული პირების, იძულებით გადაადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახების, იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახების საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. ქვეპროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა 60 წელს გადაცილებულ, იძულებით გადადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახებს, იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახებს საშუალება ეძლევათ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, გათბობის მიზნით, მუნიციპალიტეტიდან დახმარების სახით მიიღონ შეშა/ბრიკეტი.
2. ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 4. კრიტერიუმები:

1. ქვეპროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:
ა) მარტოხელა 60 წელს გადაცილებული პირები;
ბ) იძულებით გადადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახები;
დ) იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახები;
ე) მოსარგებლე ამ პროგრამის გათვალისწინებით იღებს მატერიალურად 2მ^3 შეშას ან შესაბამისი რაოდენობის ბიოსაწვავის ,,ბრიკეტის“ სახით.
ვ) ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები.
2. განცხადებები მიიღება 2025 წლის 2 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტები:

1. ბენეფიცარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. მარტოხელა 60 წელს გადაცილებული პირის შემთხვევაში, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ გაცემული ინფორმაცია;
4. შშმ პირის სტატუსის დამადასატურებელი დოკუმენტი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის ოჯახის მომართვის შემთხვევაში);
5. ცნობა, რომ არის სოციალური პაკეტის (როგორც მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე) მიმღები (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის ოჯახის მომართვის შემთხვევაში);

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის მიერ სათბობ მასალაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 03 01)

მუხლი 1. მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობისათვის სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფიზიკური პირები;
2. ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 4. კრიტერიუმი და დაფინანსება

1. ქვეპროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა;

ბ) იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები;

გ) ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ე) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ვ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

ზ) ჰეპატიტით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

თ) 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსები.

2. ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

3. სტაციონარულ, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა, გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია 1000 (ათასი) ლარზე მეტი ოდენობით დაფინანსების განხორციელება არა უმეტეს 2000 ლარისა. გამონაკლის შემთხვევის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური ინფორმაციას წარუდგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური პროგრამის განხორცილების მიზნით" შექმნილი კომისია. წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაფინანსების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური პროგრამის განხორცილების მიზნით" შექმნილი კომისია. კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამის დასკვნასთან ერთად წერილობითი ფორმით წარედგინება დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამისი ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამისილია ბენეფიციარზე გასცეს შესაბამისი მომსახურების გაწევის ანაზღაურებაზე ადმინისტრაციული დაპირება.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიცარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100;
4. ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;
5. კერძო და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ამსახველი დოკუმენტის ასლი.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი N14

აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 03 02)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების მკურნალობა, სოციალური კომუნიკაციის ხელშეწყობა, ადაფტაციური უნარების განვითარება და მათი ოჯახების მხარდაჭერა.

მუხლი 2. ამოცანები

ქვეპროგრამის ამოცანებია სამიზნე ჯგუფში შემავალი ბავშვების კომუნიკაციური, ქცევითი და ვერბალური უნარების გაუმჯობესება, სოციალიზაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების შესაბამისი ინფორმაციათა და მხარდაჭერით უზრუნველყოფა.

მუხლი 3 . ქვეპროგრამის მოსარგებლეები

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 2 - დან 18 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD_10) განვითარების ზოგადი აშლილობების დიაგნოზი (ბავშვთა აუტიზმი (84.0), ატიპური აუტიზმი (84.1), ასპერგერის სინდრომი (84.5), განვითარების ზოგადი აშლილობა (84.9)).

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსება

1. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს წელიწადში ერთხელ არა უმეტეს 4 000 ლარისა;
2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამისილია ბენეფიციარზე გასცეს შესაბამისი მომსახურების გაწევის ანაზღაურებაზე ადმინისტრაციული დაპირებას.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD_10) განვითარების ზოგადი აშლილობების დიაგნოზი.
5. ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები

აუტისტური სპექტრის აშლილობების და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ფინანსური სახსრების დაზოგვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

დანართი N15

მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის
მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 03 03)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

1. ქვეპროგრამის მიზანია: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული, აქტუალური დაავადების და სოციალურად დაუცველი პირების (რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს) მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
2. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიარებზე ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და დმანისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მეორანდუმის შესაბამისად ფარმაცევტული კომპანიები კალკულაციებს გასცემენ ფასდაკლების დღეებში არსებული ფასით კვირის ნებისმიერ დღეს.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით მოსარგებლეს წარმოადგენს: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიმსივნით, ჰეპატიტით, გულის ქრონიკული უკმარისობით, პარკინსონით, ფსორიაზით, ასთმით, სხვა ქრონიკული, აქტუალური დაავადების და სოციალურად დაუცველი პირები (რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს);
2. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და დმანისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი სააფთიაქო ქსელებით
   ა) შპს ,,პსპ ფარმა“ (ს/კ 202203123);
   ბ)სს ,,გეფა“ (ს/კ 201991229);
   გ) შპს ,,ინპექსფარმი“ (ს/კ 204927909);
   დ) შპს ,,ავერსი ფარმა“ (ს/კ 211386695)
   ე) კ/ს ,,კალანდაძე“ (ს/კ 216297950);
   ვ) ,,ფარმაცევტული სახლი+“ (ს/კ 205199033)

მუხლი 4. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. ბენეფიციარისათვის დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.
2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.
3. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სააფთიაქო დაწესებულების სახელზე მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას.
4. მოქალაქის მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრული თანხის ოდენობა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.
5. ანგარიშსწორება განხორციელდება მერის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით მედიკამენტის მომწოდებელთან უნაღდო ანგარიშსწორებით სააფთიაქო მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენისთანავე.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ბენეფიცარის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2. ბენეფიცარის ან/და კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევისას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები;

3. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №IV-100ა (კანონმდებლობით დადგენილი ფორმით);

4. მედიკამენტის მიმწოდებელი დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები;

5. სააფთიაქო დაწესებულებიდან მედიკამენტების მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა (ინვოსი)).

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

0-1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03 04)

მუხლი 1.მიზანი

პროგრამის ამოცანაა **0-1 წლამდე ასაკის ბავშვიანი** ოჯახის მატერიალური მხარდაჭერა და ბავშვის ოჯახიდან განცალკევების პრევენცია.

მუხლი 2. ამოცანა

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-1 **წლამდე ასაკის ბავშვების** უსაფრთხო და შესაბამისი საკვებით უზრუნველყოფა.

მუხლი3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი;

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

ა) ოჯახი რომელსაც ყავს 0-1 წლამდე ასაკის ბავშვი და პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მომართვის დროს რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური ცენტრში ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მაძიებლად არის რეგისტრირებული.

გ) ოჯახი, რომელმაც მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით სარეიტინგო ქულის განსაზღვრის მიზნით და არ არის ამოწურული კანონმდებლობით განსაზღვრული ქულის მინიჭების ვადა, რომელიც წარმოადგენს ხელოვნური კვების საჭიროების ქმონე დოკუმენტს (სამედიცინო ფორმა N100).

დ) ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის კრიტერიუმი და დაფინანსება

1. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური, მოქალაქის განცხადების საფუძველზე.

2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

3.დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის სახელზე მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას.

4. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვებისთვის დახმარების თანხის ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად 200 (ორას) ლარს;

5. ანგარიშსწორება განხორციელდება მერის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენისთანავე.

მუხლი5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მეურვის/მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) მეურეობის/მზრუნველობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ვ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია (ინვოისი);

ზ) ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალ ცენტრში ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამის მაძიებლად რეგისტრირების შესახებ ცნობა.

მუხლი 6. პროგრამის დაფინანსების წყარო;

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტი ბიუჯეტი.

ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 06)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2 . ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები (ინფორმაციის წყარო - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო);

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები თანმხლებ პირთან ერთად (ინფორმაციის წყარო - საქართველოს უსინათლოთა კავშირი);

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ვეტერანები (კოდი – 100, 111, 112, 113, 200, 300, 311, 312, 313, 500, 501, 800), ინფორმაციის წყარო - სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური);

დ) დიალიზის საჭიროების მქონე პირები (რომლებიც სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2025 წლის მუნიციპალური პროგრამით“);

ე) ა(ა)იპ ,, დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ სტუდიების მოსწავლეები;

ვ) ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლის“ მოსწავლეები.

მუხლი 4. ტრანსპორტის გადადგილების მიმართულება

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირების ტრანსპორტირება - ქ. დმანისიდან - ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან - ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში ერთი დღე (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2 დღე);

2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.

3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.

4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) კვირაში ორი დღე - სოფელი დაგარახლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - დაგარახლოს მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი ამამლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - ამამლოს მიმართულებით;

გ) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

დ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;

ე) კვირაში ორი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (დღეში 2 რეისი);

ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;

ზ) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;

თ) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;

ი) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მინართულებით.

კ) სასწავლო დღეებში - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება სოფელი ახალი გოდაგდაგი - სოფელი ზემო კარაბულახი - სარკინეთი და სოფელი სარკინეთი - ზემო კარაბულახი-სოფელი ახალი გოდაგდაგის მიმართულებით (ორი რეისი).

5. ა(ა)იპ ,, დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" სტუდიების მოსწავლეების გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) ორშაბათი:

ა.ა) ერთი ჯგუფი - ს. დიდი დმანისი - ს. ვარდისუბანი - ს. ბოსლები - ს. ჯავახი - ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით.

ბ) ორშაბათი და ოთხშაბათი:

გომარეთის ცეკვის:

ბ.ა) პირველი ჯგუფის გასვლა - ს. განახლება - ს. სარკინეთი - ს. გომარეთი და უკუმიმართულება - ს. სარკინეთი - ს. განახლება - ს. ახა.

ბ.ბ) მეორე ჯგუფი - გასვლა - ს. განახლება - ს. სარკინეთი - ს. გომარეთი და უკან დაბრუნება - ს. გომარეთი - ს. მამულო - ს. გომარეთი - ს. სარკინეთი - ს. განახლება.

გ) ოთხშაბათი:

გ.ა) პირველი ჯგუფი - ს. ტნუსი - ს.-განთიადი - ს. ჯავახი- ქ.დმანისი და უკუმიმართულებით;

გ.ბ) მეორე ჯგუფი - ს. ბოსლები - ს. ჯავახი - ს. განთიადი- ქ. დმანისი და უკუმიმართულებით - ქ. დმანისი - ს. განთიადი - ს. ჯავახი -ს. ტნუსი - ს. დიდი დმანისი;

გ.გ) მესამე ჯგუფი - ს. დიდი დმანისი - ს. ვარდისუბანი - ს. ჯავახი - ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით - ქ. დმანისი - ს. განთიადი - ს. ჯავახი - ს. ბოსლები;

გ.დ) მეოთხე ჯგუფი - ს. ბოსლები- ს. ჯავახი - ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით - ქ. დმანისი - ს. განთიადი - ს. ჯავახი - ს. ვარდისუბანი - ს. დიდი დმანისი;

გ.ე) მეოთხზე ჯგუფი - ს. დიდი დმანისი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით - ქ. დმანისი - სოფ. განთიადი - ს. ჯავახი.

დ) ხუთშაბათი და პარასკევი ერთი ჯგუფი - ს. დიდი დმანისი -ს. ვარდისუბანი- ს. ჯავახი -ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით.

ე) შაბათი და კვირა:

ე.ა) პირველი და მეორე ჯგუფი (ორი რეისი) - ს. მაშავერა-ს. დიდი დმანისი-ს. ვარდისუბანი-ს. ტნუსი-ს. ჯავახი-ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით;

ე.ბ) მესამე და მეოთხე ჯგუფი (ორი რეისი) - ს. მაშავერა-ს. დიდი დმანისი -ს. ვარდისუბანი - ს. ჯავახი - ს. განთიადი - ქ. დმანისი და უკუმიმართულებით;

ბ.გ) მეოთხე ჯგუფი - სოფ.დიდი დმანისი - ქ. დმანისი და ქ. დმანისი -სოფ. განთიადი -სოფ. ჯავახი - სოფ. ვარდისუბანი - ს. დიდი დმანისი - ს. მაშავერა.

6. ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლის" მოსწავლეების გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) პირველი ჯგუფი - ორშაბათი და ოთხშაბათი - ს. განთიადი, ს. ჯავახი, ს. განთიადი;

ბ) მეორე ჯგუფი - სამშაბათი და ხუთშაბათი - ს. ვარდისუბანი, ს. მაშავერა , ს. ვარდისუბანი;

გ) მესამე ჯგუფი - სამშაბათი და ხუთშაბათი - ქ. ვარდისუბანი, ს. პატარა დმანოისი ს. ვარდისუბანი;

ბ.გ) მესამე და მეოთხე ჯგუფი - სამშაბათი და პარასკევი - ს. ვარდისუბანი, ს. განთიადი, ქ. დმანისი და უკუმიმართულებით.

7. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;

8. მე - 4 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 08)

მუხლი1. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

1. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ ,,მხარდაჭერის სახლს", Hilfwserk International და იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობას" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანდაზმულთათვის მობილური ზრუნვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხანდაზმულთა საკითხებზე კონსულტაციების გაწევა და ჯანსაღი დაბერების აქტივობების განხორციელება.

2. შინმოვლის მომსახურებები მოიცავს:

ა) საექთნო-სამედიცინო მომსახურებას;

ბ) საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

გ) ფსიქოსოციალურ მომსახურებას;

3. ჯანსაღი დაბერების მომსახურების მიმღები ბენეფიციარები ცენტრში იღებენ შემდეგ მომსახურებებს:

ა) ჯანმრთელობის გაუარესების პრევენცია;

ბ) განგრძობითი განათლება;

გ) ფსიქოსოციალური კონსულტირება;

დ) იურიდიული კონსულტაცია;

ი) კულტურული-სოციალური ღონისძიებები და სხვა.

4. მომსახურების სახეობა, პირობები და ხანგრძლივობა დგინდება ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებიდან გამომდინარე, რომელსაც ატარებს მულტიდისიპლინარული ჯგუფი და თანხმდება ბენეფიციართან ან მის წარმომადგენელთან.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

მოვლის საჭიროების მქონე ადამიანებისთვის პროფესიონალური, ინტეგრირებული მოვლის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ამგვარად, მათთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ მათთვის ნაცნობ გარემოში.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

1. მხარდაჭერის სახლის მომსახურების მიმღები ბენეფიცარები არიან 60 + ასაკის დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ხანგრძლივად მცხოვრები მოქალაქეები.

2. შინმოვლის მომსახურებაში ჩართვის კრიტერიუმებია სოციალური სარეიტინგო და ბართელის შეფასების სკალის ქულები:

2.1. სოციალური სარეიტინგო ქულა 70 000 ქვემოთ და მაღალი ბართელის ქულა;

ა) მაღალი (95 – 100 ქულა) + თუ ხანდაზმული ცხოვრობს მარტო და მისი საცხოვრებელი ადგილი მოშორებულია იმავე დასახლების სხვა ოჯახებს;

ბ) საშუალო (75 – 95 ქულა) და პრიორიტეტი ენიჭება ქვედა ზღვართანუფრო ახლოს მქონე ხანდაზმულს

გ) დაბალი (70 ქულა და ქვემოთ)

2.2. სოციალური სარეიტინგო ქულა 70 001 - დან 120 000 - მდე და ბართელის ქულა:

ა) საშუალო (75-95 ქულა და პრიორიტეტი ენიჭება ქვედა ზღვართან უფრო ახლო ქულის მქონე ხანდაზმულს)

ბ) დაბალი (70 ქულა და ქვემოთ)

2.3. სოციალური სარეიტინგო ქულა 120 001 - დან 200 000 - მდე და ბართელის ქულა:

ა) დაბალი (70 ქულა და ქვემოთ)

3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალაური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიმართვის ან/და დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე ბენეფიცარების შერჩევას ახდენს ა(ა)იპ ,,მხარდაჭერის სახლი", იგპ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობა" და Hilsferk international. განსაკუთრებულ შემთხვევებში პროგრამაში ჩართვის საკითხი

გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალსწინებით მუნიციპალიტეტის მერიის და შინმოვლის ექთნის რეკომენდაციით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო

1. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,მხარდაჭერის სახლი", Hilsferk internacional, იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა" და დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 06 02 08;
2. ა(ა)იპ ,,მხარდაჭერის სახლის", Hilsferk internacional - ს, იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა"- ს თანადაფინანსება 120 000 ლარი;
3. დმანისის მუნიციპალიიტეტის ბიუჯეტი - 40 000 ლარი.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები

ხანდაზმულ პირთა დამოუკიდებლობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მათი აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის გზით.

დანართი N19

ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით
(პროგრამული კოდი 06 02 09)

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დმანისში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების გზით.

მუხლი 2. მოსარგებლეთა ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალები, რომელთაც არ აქვთ ბიზნესის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება.

მუხლი 3. პროგრამის ამოცანა

1. ქალების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მნიშვნელობის გაზიარება/გააზრება საზოგადოების, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ქალების, მათი ოჯახების და დამსაქმებლების მიერ.
2. ქალებში დასაქმებისთვის საჭირო ინდივიდუალური შესაძლებლობების გაუმჯობესება.
3. ქალთა ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 4. პროგრამის აქტივობები

1. შეხვედრები დმანისში მცხოვრებ ქალებთან მათ საცხოვრებელ ადგილებზე, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ არსებული ცოდნის შეფასების მიზნით (კითხვარების დარიგება და ასევე, განთავსება სოციალურ ქსელში).
2. თემში შეხვედრების განხორციელება ქალებისათვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
3. სოციალური მედიის გამოყენებით და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ჩართვით საინფორმაციო კამპანიების წარმოება, საზოგადოებისათვის ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და პროგრამაში არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.
4. საინფორმაციო მასალების დაბეჭდვა და გავრცელება მუნიციპალიტეტში.
5. დამსაქმებლებთან შეხვედრები დასაქმების ადგილებზე ქალთა საჭიროებების შესახებ ინფორმირების და მგრძნობელობის გაზრდის მიზნით.
6. შეხვედრები ქალებთან სამუშაო ადგილზე მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
7. არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა, მოცემული ამოცანების მისაღწევად მუნიციპალიტეტში საჭირო რესურსების შექმნის მიზნით.
8. დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტისათვის მონაწილეების შერჩევა.
9. ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების უზრუნველყოფა ქალთა ჯგუფებთან, სამუშაოს მოძიებისათვის ცოდნისა და უნარების გაზრდის მიზნით.
10. ქალებისათვის ფორმალურ და არაფორმალურ კურსებზე ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა, გადამისამართების და დაფინანსების უზრუნველყოფით.
11. მათი ჩართვა შრომის ბაზარზე მაღალმოთხოვნადი ზოგადი ცოდნის და უნარების სასწავლო კურსებში (მაგ. ინგლისური, კომპიუტერული უნარები და საოფისე პროგრამები და ა.შ./).
12. შემოსავლის მომტანი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის კონკურსში მონაწილეობის მსურველების შერჩევა.
13. შერჩეულ მონაწილეებთან ტრენინგების/სასწავლო კურსის განხორციელება შემდეგ საკითხებზე: ბიზნეს გეგმის შექმნა, ფინანსების მართვა, ბიზნესის რეგისტრაცია და მოქმედი რეგულაციები, შესაძლო დაფინანსების წყაროები და სხვა.

14. შერჩეულ მონაწილეებთან ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება საჭიროების მიხედვით.

15. ღია ფინანსური მხარდაჭერის კონკურსის გამოცხადება და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა.

16. მხარდამჭერი მონიტორინგის ორგანიზება და წარმოება ინდივიდუალურად.

17. შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართული ქალების გადამისამართება საჭიროების მიხედვით, მუნიციპალურ და/ან ცენტრალურ პროგრამებში, რომელიც გაზრდის მათი ეკონომიკური საქმიანობის მდგრადობას.

მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

1. ექნებათ შესაბამისი ცოდნა მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ
2. საზოგადოება ინფორმირებული იქნება ქალის სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვის მნიშვნელო(ვნე)ბის შესახებ.
3. დამსაქმებლებში გაუმჯობესდება ქალთა, მათ შორის სტიგმატიზებული ჯგუფების საჭიროებების შესახებ ცოდნა და მგრძნობელობა.
4. დასაქმებულ და დასაქმების მაძიებელ ქალებს ექნებათ ინფორმაცია სამუშაო ადგილზე საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის შესაძლებლობების შესახებ.
5. ექნებათ სამუშაოს ძიებისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და მოტივაცია.
6. ექნებათ სამუშაო ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნა და უნარები.
7. გაუმჯობესდება ბიზნესის წამოწყების და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.
8. ხელმისაწვდომი იქნება ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.
9. ბიზნეს საქმიანობაში ახლად ჩართული ქალებისთვის გაიზრდება სხვადასხვა მხარდამჭერ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. მომსახურებაში ჩართვის კრიტერიუმები

1. ცნობიერების ამაღლების აქტივობებში (მე-4 მუხლის 1-7 პუნქტები) მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ფინანსური მხარდაჭერის და დასაქმების ხელშემწყობ აქტივობებში (მე-4 მუხლის 7-17 პუნქტები) მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელია მოსარგებლე აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილ კრიტერიუმს:

ა) არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება (არ ყოფილა მფლობელი ან/და მენეჯერულ პოზიციაზე).

ბ) აქვს მზაობა ჩაერთოს დაგეგმილ სატრენინგო და საგანმანათლებლო პროცესებში.

3. ფინანსური მხარდაჭერის აქტივობებში (მე-4 მუხლის 12-17 პუნქტები) ჩართვისათვის აუცილებელია:

ა) მონაწილე გამოხატავდეს მზაობას ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტში გათვალისწინებული მხარდაჭერისა და მონიტორინგის პროცესისადმი.

ბ) მონაწილეს არ ჰქონდეს მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 7. მომსახურებიდან გამომრიცხველი კრიტერიუმები

პროგრამით ვერ ისარგებლებს მოქალაქე, თუ შეესაბამება ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს:

ა) საჯარო მოსამსახურე ან/ და მისი ოჯახის წევრი.

ბ) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან/და მისი ოჯახის წევრი.

გ) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ან/და მათი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული პირი ან/და მისი ოჯახის წევრები.

მუხლი 8. უპირატესობის მინიჭების კრიტერიუმები:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი.
2. სოციალურად დაუცველი ქალი (ოჯახის სარეიტინგო ქულა - 150 001-ზე ნაკლები).
3. იძულებით გადაადგილებული (დევნილი) ქალი.
4. ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალი.

5. მრავალშვილიანი დედა (ოთხი და მეტი შვილი).
6. მარტოხელა დედა.

მუხლი 9. პროგრამის ვადები

1. ეკონომიკური აქტივობაში ჩართვის მნიშვნელობის გაზიარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობები ხორციელდება წლის განმავლობაში (საშუალოდ 25 აქტივობა);

2. დასაქმებისთვის საჭირო ინდივიდუალური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით მონაწილეთა შერჩევა, ტრენინგების ორგანიზება, ფორმალურ და არაფორმალურ კურსებზე ჩარიცხვა, ქალების ჩართვა სასწავლო კურსებში, განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს მიმართოს მუნიციპალიტეტს 2025 წლის იანვრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით.

3. ქალთა ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით:

ა) მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ცხადდება 2025 წლის თებერვალში.

ბ) მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის დასრულებიდან შემოსული განაცხადების განხილვის შემდგომ 1 თვის ვადაში.

გ) ტრენინგები ჩატარდება მონაწილეთა აქტივობიდან გამომდინარე მათთვის სასურველ დროში (კალენდარული დრო - მარტი, აპრილი, მაისი)

ბ) განაცხადების მიღება ხდება ტრენინგების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

გ) შემოსული განაცხადები განიხილება და შედეგები გამოცხადდება კონკურსის დასრულებიდან 1 თვის ვადაში. (განცხადებების განხილვის პროცესი შესაძლოა გულისხმობდეს ადგილზე ვიზიტს)

დ) დაფინანსებული პროექტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროექტის შინაარსზე, მუნიციპალიტეტი იტოვებს მონიტორინგის უფლებას პროექტის ფინანსური მხარდაჭერიდან 2 წლის განმავლობაში.

მუხლი 10. პროგრამაში ჩართვის პროცედურები

1 **ცნობიერების ამაღლების** (მე-4 მუხლის 1-7 პუნქტები) აქტივობებში დაგეგმილი აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, მოქალაქეებს შეუძლიათ დაესწრონ საჯარო შეხვედრებს და მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვებში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე. ინფორმაცია გავრცელდება როგორც სოციალურ ქსელში, ასევე თემში ადგილობრივი რწმუნებულების მეშვეობით, 1 თვით ადრე.

2 **დასაქმების ხელშემწყობ** აქტივობებში (მე-4 მუხლის 8-11 პუნქტები) მონაწილეობის პროცედურები:

ა) პროგრამაში ჩართვის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში (კანცელარია). განაცხადების გაკეთებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი განმცხადებელს აცნობებს ინფორმაციას პროგრამაში მოსარგებლედ რეგისტრაციის და შემდგომი პროცედურების, ან უარის თქმის და მისი მიზეზების შესახებ.

ბ) ტრენინგებზე/სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეები გადანაწილდებიან ინტერესების და მომართვის თარიღის მიხედვით (წლის განმავლობაში 2 ან 3 ჯგუფი). ინფორმაცია თითოეულ პირს მიეწოდება ინდივიდუალურად, სატელეფონო ზარის მეშვეობით. ტრენინგის თარიღის და შინაარსის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სულ მცირე 14 კალენდარული დღით ადრე.

გ) ტრენინგის დასრულების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული პირს ექნება დასაქმების კონსულტანტის ინდივიდუალური მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

დ) ტრენინგის დასრულების შემდგომ, დასაქმების კონსულტანტის მხარდაჭერით ხორციელდება სასწავლო კურსების მოძიება. იმ შემთხვევაში, თუ კურსი ფასიანია, სპეციალისტი დაეხმარება დაფინანსების მოძიებაში.

3 **ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტში** (მე-4 მუხლის 12-17 პუნქტები) მონაწილეობის პროცედურები:

ა) ფინანსური მხარდაჭერის კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის მიზნით, ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტში არსებული შესაძლებლობების და პროცედურების შესახებ ინფორმაციას და მსურველთა რეგისტრაციას აცხადებს დმანისის მერია.

ბ) ინფორმაცია განთავსდება დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

გ) მცირე ფინანსური მხარდაჭერის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში (კანცელარია) შემდეგი დოკუმენტები:

გ.ა) განცხადება ამ პროგრამით დამტკიცებული საპროექტო წინადადების განაცხადის ფორმის (დანართი N1-ის) შესაბამისად.

გ.ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

გ.გ) დავალიანების არქონის ცნობა

გ.დ) ცნობა რომ არ ყოფილა მეწარმედ რეგისტრირებული

გ.ე) მე-8 მუხლით გათვალისწინებული მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) კანდიდატებთან დაკავშირება მოხდება რეგისტრაციის დასრულებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღისა.

ე) მოსამზადებელი ტრენინგების ჩატარება განხორციელდება შემდეგნაირად:

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტრენინგს, რომელიც იქნება დამხმარე განაცხადის მომზადების პროცესისათვის და შემდგომში, ბიზნესის წარმართვისათვის. ტრენინგის ხანგრძლივობის, თარიღის, ადგილის შესახებ მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდებათ ტრენინგის ჩატარებამდე სულ მცირე 14 კალენდარული დღით ადრე. ტრენინგის სავარაუდო თემებია: ბიზნეს გეგმის შედგენა, ფინანსური მართვა, ბიზნესის რეგისტრაცია და სპეციფიური რეგულაციები, არსებული პროგრამები საიდანაც შესაძლებელია ბიზნესის დაფინანსება.

ვ) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ და რეგისტრირებულ განცხადებებს განიხილავს პროგრამისთვის - ,,**ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა**" შექმნილი სამუშაო ჯგუფი. კონკურსის პირობებთან შეუსაბამო გარემოებების არსებობის შემთხვევაში კონსულტანტი დაეხმარება განმცხადებელს ხარვეზის აღმოფხვრაში.

ზ) მცირე ფინანსური მხარდაჭერის კონკურსში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

თ) მცირე ფინანსური მხარდაჭერის მიმღებთა შერჩევას უზრუნველყოფს მერის ბრძანებით შექმნილი „ქალთა ოთახის" სამუშაო ჯგუფი.

ი) გამარჯვებული პროექტის გამოცხადება

ი.ა) გამარჯვებული მცირე ფინანსური მხარდაჭერის პროექტ(ებ)ი შეფასების პროცესის დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება მერს;

ი.ბ) წარმოდგენილი განაცხადების შეფასების ჯამური ქულების გათვალისწინებით დგება პროექტების რეიტინგული სია, საიდანაც გამარჯვებული პროექტები გამოცხადდება და დაფინანსდება.

კ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტი შეადგენს 20 000

ლ) დაფინასების განხორციელება

ლ.ა) დაფინანსება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას და კონკურსში გამარჯვებულ პირ(ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ლ.ბ) მოსარგებლისთვის თანხის ჩარიცხვა ხდება ხარჯის გაწევამდე, წარმოდგენილი დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით.

ლ.გ) პროექტის დაფინანსებისათვის გადაცემული თანხის სრული ათვისება უნდა მოხდეს წლის ბოლომდე. აუთვისებელი თანხა რჩება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ლ.დ) დაფინანსდება მხოლოდ შემოსავლის მომტანი საქმიანობის წამოწყების და განვითარებისთვის საჭირო აუცილებელი ხარჯები.

ლ.ე) მერია უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები და ცვლილებები პროექტთან დაკავშირებით, მის ხარჯთეფექტურობაში და მდგრადობაში დარწმუნების მიზნით.

ლ.ვ) პროგრამით ვერ ისარგებლებს მოქალაქე, რომელმაც უკვე ისარგებლა ამავე პროგრამით.

მუხლი 11. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ,,ქალთა ოთახის" სამუშაო ჯგუფი, წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის ფორმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შემდეგი **სამი მიმართულებით**, შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით:

1. **ცნობიერების ამაღლება:**

ა) ღონისძიებების რაოდენობა აქტივობების მიხედვით.

ბ) მოცული ადამიანების რაოდენობა აქტივობების მიხედვით.

2. **დასაქმების ხელშეწყობა**

ა) სამუშაოს ძიებისთვის საჭირო ცოდნის და მოტივაციის ზრდის მაჩვენებელი (ტრენინგის პრე-პოსტ ტესტებით).

ბ) მოსარგებლეთა რაოდენობა რომელიც ჩაერთო ფორმალურ და არაფორმალურ კურსებში, რომლის მიზანია სამუშაო ბაზარზე ცოდნა-უნარების შეძენა.

გ) მოსარგებლეთა კმაყოფილების დონე (უკუკავშირი).

3. **ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტის მონიტორინგი**

ა) ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან (ხარჯების რეესტრი და შესაბამისი დამადასტურებელი საბუთები უნდა წარადგინოს ფინანსური მხარდაჭერის მიმღებმა).

ბ) საქმიანობების განხორციელების შესაბამისობა გეგმასთან დროის თვალსაზრისით.

გ) საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტი/მომსახურების შესაბამისობა გეგმასთან.

დ) საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი და მოგება.

ე) მოსარგებლეთა კმაყოფილების დონე (უკუკავშირი).

4. ამ მუხლით ჩამოთვლილი მონიტორინგის შედეგების ანალიზი მოხდება პროგრამის დასრულებისას და შესაბამისი დასკვნების გათვალისწინება მოხდება მომავალი წლის პროგრამაში.

5. მონიტორინგის და შეფასების ჯგუფის შემადგენლობას წინასწარ ამტკიცებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი N1

საპროექტო წინადადების განაცხადის ფორმა

1. **ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ**

1.1.1. **ფიზიკური პირი**

სახელი/გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სქესი	
მისამართი (ფაქტობრივი)	
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ. ფოსტა	

2. **პროექტის სახელწოდება**

3. **პროექტის განხორციელების ადგილი**

4. **პროექტის ღირებულება**

პროექტის საერთო ღირებულება (ლარი)	დონორისგან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	განმცხადებლის თანამონაწილეობა (ლარი)

100 %	დონორი _____%	განმცხადებელი _____%

5. **პროექტის** განხორციელების ვადა: _____ თვე

პროექტის განხორციელების მაქსიმალური ვადაა 12 თვე.

6. **პროექტის** მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 2 გვერდი, პუნქტი 6.1, 6.2, 6.3)

6.1. **წინა პირობები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვიტეთ შემოთავაზებული პროექტის განხორციელება**

6.2. **პროექტის მიზნები და ამოცანები**

6.3. **პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები**

7. **განმცხადებლის გამოცდილება (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)**

(რამდენად აქვს განმცხადებელს პროექტით წარმოდგენილი ან მსგავსი სამიანობების განხორციელების გამოცდილება)

8. **პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები**

(რა ადამიანური და ტექნიკური რესურსებია საჭირო პროექტის განხორციელებისათვის)

№	ადამიანური რესურსი	განმარტება

№	ტექნიკური რესურსი	განმარტება
№	არსებული რესურსი	განმარტება

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონი

9. **პროექტის** განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტი/სერვისი (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

10. **პროექტის** მდგრადობა (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

(განმარტება იმის შესახებ, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება პროექტის შედეგები განხორციელების დასრულების შემდეგ)

11. **რისკები**

(პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი შემცირების/დაძლევის გზები)

რისკი	შემცირება/დაძლევა

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონი

12. **მარკეტინგი**

(პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტის/სერვისის გაყიდვის გზები)

13. **პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტის/სერვისის მომხმარებლები**

14. **პროექტის ბიუჯეტი**

(აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ჰყავს პარტნიორ(ებ)ი)

#	ხარჯის დასახელება	ა. ერთეულის ფასი	ბ) ერთეულის რაოდენობა	გ=ა X ბ სულ ლარში ლარში
1				
2				
3				

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონი

განაცხადზე პასუხისმგებელი პირი _____

ხელმოწერა _____

თარიღი:

,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის მომსახურების თანადაფინანსების ქვეპროგრამა“
(პროგრამული კოდი 06 02 10)

მუხლი1. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

პროგრამის მიზანია განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფა ხარისხიანი სოციალური სერვისის მიწოდების, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამის ამოცანაა ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მშობლობის უნარ-ჩვევების გაძლიერება, სოციალური ინკლუზია, რთული ქცევის მართვა, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის ღონისძიებებია:

ა) ექვსთვიანი ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შედგენას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომლის შედგენაში ჩართულნი არიან: პედაგოგი ან/და ფსიქოლოგი ან/და ოკუპაციური თერაპევტი, დამხმარე ასისტენტი და ბენეფიციარი/მისი კანონიერი წარმომადგენელი გეგმის განხორციელებასა და განახლებას;

ბ) ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფა, 6 საათამდე მომსახურებისას უნდა მოხდეს ბენეფიციართა უზრუნველყოფა ორჯერადი ჯანსაღი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი, ხოლო 3 საათამდე მომსახურებისას ერთჯერადი სამკომპონენტიანი სადილით;

გ) ასაკის გათვალისწინებით ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) იდენთიფიკაცია და მათი დაკმაყოფილება;

დ) ბენეფიციართა აკადემიური და ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა;

ე) ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა;

ვ) საჭიროების შემთხვევაში – პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება;

თ) ყოველდღიური (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა), მინიმუმ 3 საათიანი და მაქსიმუმ 6-საათიანი სერვისის მომსახურების უზრუნველყოფა.

ი) დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობას;

კ) საგანმანათლებლო, განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების ხელშეწყობას;

ლ) ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზებას;

მ) მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის გეგმის შედგენა-განხორციელებას;

ნ) სოციალური მუშაკის ჩართვის მიზნით, მეურვეობა-მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდებას, იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობა და განვითარება იძლევა შესაძლებას მიიღოს განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და ის მიუხედავად ამისა არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

მუხლი 4. პროგრამის აქტივობები

1. სატრეინინგო კურსის ,,პოზიტიური მშობლობა“ ჩატარება **,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის მომსახურების თანადაფინანსების ქვეპროგრამით“** მოსარგებლე ბენეფიციარების მშობლებისათვის;

მუხლი 5. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 3-დან 18 წლამდე ასაკის განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვები;

ბ) ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეთა შერჩევასა და შესაბამის გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე იღებს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

გ) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალაური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიმართვის ან/და დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე ბენეფიცარების შერჩევას ახდენს ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“

მუხლი 6. ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო

ა) ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გაცემული მატერიალური ვაუჩერის ფარგლებში მიღებული ანაზღაურება (ვაუჩერის ღირებულება შეადგენს თვეში 1 მოსარგებლეზე 420 ლარს);

ბ) დმანისის მუნიციპალიიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს წელიწადში - 42 000 ლარს კვების, დამხმარე მასალების და შესაბამისი სპეციალისტების ანაზღაურების გათვალსწინებით.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სპეციალური საჭიროების ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერა;

ბ) ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია;

გ) აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობა;

დ) დამოუკიდებლი ცხოვრების უნარების განვითარება;

ე) სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

ვ) ახალი მხარდამჭერი სოციალური სერვისების გაჩენა სპეციალური საჭიროების ბავშვებისათვის საცხოვრებელ ტერიტორიასთან ახლოს.

დანართი N21

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი - 03 01 01 04)

მუხლი 1. მიზანი/ამოცანა

ა) მიზანი:

პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამეურნეო დანიშნულებით დამუშავების პროცესის წახალისება, მოქალაქეთა ხელშეწყობა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და მიგრაციის პროცესის შეჩერება.

ბ) ამოცანა: დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა სასოფლო სამეურნეო სამუშაოების განხორციელებაში.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი

1, აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფია (შემდგომში „ბენეფიციარი“) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი რომელსაც დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქვს (ფაქტობრივი ფლობაში, საკუთრებაში) დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმიდან ერთერთს:

ა) მისი სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000 (ორასი ათასს).

ბ) წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან ყავს ასეთი წევრი ოჯახში;

გ) მარჩენალ დაკარგული;

დ) იძულებით გადაადგილებული პირი;

ე) ომის ვეტერანი;

ვ) არის მარტოხელა მშობელი;

ზ) არის მრავალშვილიანი მშობელი;

თ) მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახები.

2. პროგრამის ბენეფიციარებს განსაზღვრავს მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მერი ან მის მიერ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

მუხლი 3. პროგრამის ფარგლები და დაფინანსების წყარო

1. ბენეფიციარი მიმდინარე წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად, არანაკლებ 0,05 ჰა და არაუმეტეს 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამუშავებისას.

2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფისათვის“-სათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. ამ პროგრამის ბენეფიციარებისათვის მომსახურება არის უფასო.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ან მერის მიერ უფლებამოსილი პირი/ორგანო შემოსული განცხადების საფუძველზე გასცემს შესაბამის ვაუჩერს პროგრამით მოსარგებლი ბენეფიციარზე რომელშიც მითითებული იქნება :

ა) ბენეფიციარის პირადი ნომერი;

ბ) გვარი სხელი;

გ) საკადასტრო კოდი ან დასამუშავებელი მიწის მდებარეობა და ფართობი;

დ) ვაუჩერით გაცემული პირობა შერულდება გაცემიდან ერთი თვის ვადაში;

ე) ვაუჩერის ფარგლებში გაწეული მომსახურების დადასტურება მოხდება განმცხადებლის ხელისმოწერით.

მუხლი 4. პროგრამის შესრულების ვადები

1. პროგრამა დაიწყება 2025 წელს და განხორციელდება მიმდინარე წელს 6 (ექვსი) თვის განავლობაში ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 15 მარტიდან, აპრილი, მაისი და მეორე ეტაპი - სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, 15 დეკემბრამდე.
2. პროგრამის აღსრულებას მერის დავალების საფუძველზე ახორციელებს ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი“ (შემდგომში „აღმსრულებელი“).

მუხლი 5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე მერის წარმომადგენელი მერს აწვდის ინფორმაციას სადაც აღნიშნული უნდა იქნას დაინტერესებული პირის ვინაობა - გვარი სახელი პირადი ნომერი, დასამუშავებელი მიწის ფართი და ფლობის ფორმა. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური განცხადების შესწავლის შემდეგ მერს წარუდგენს ინფორმაციას ვაუჩერის გაცემისათვის დოკუმენტიცის მზადყოფნის შესახებ, რის შემდეგაც მერია გასცემს ვაუჩერს.